



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 52

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. გარდაბანი
30.05.2024

52-06-4-202405301748



გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების დავითი თურქიშვილის, გიორგი შოშიაშვილის, გიორგი გოგოჩაშვილის, გიორგი მათიაშვილისა და მწვრთნელის არსენა შოშიაშვილის დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მეორე ნაწილის, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №21 დადგენილების, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილებისა და თბილისის და სრულიად ქართლის რეგიონის მკლავჭიდის ფედერაციის 2024 წლის 24 მაისის წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №21 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების: დავითი თურქიშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 1000 (ათასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“, გიორგი შოშიაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 2000 (ორი ათასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“, გიორგი გოგოჩაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 3000 (სამი ათასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“, გიორგი მათიაშვილის ერთჯერადად

დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“ და მწვრთნელის – არსენა შოშიაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 2600 (ორი ათას ექვსასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“.

მუხლი 2

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს თანხის გადარიცხვა უნაღლო ანგარიშწორებით, სპორტსმენებისა და მწვრთნელის პირად საბანკო ანგარიშებზე:

დავითი თურქიშვილი - 1000 (ათასი) ლარი, პ/ნ , GE76;

გიორგი შოშიაშვილი - 2000 (ორი ათასი) ლარი, პ/ნ , GE05;

გიორგი გოგოჩაშვილი- 3000 (სამი ათასი) ლარი, პ/ნ , GE3;

გიორგი მათიაშვილი- 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარი, პ/ნ , GE7

არსენა შოშიაშვილი - 2600 (ორი ათას ექვსასი) ლარი, პ/ნ GE5

მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს
თავმჯდომარე

